



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55

„29“ ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე სულხან ხუცაიძეს (პ/ნ 01019000692) გაუგრძელოს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.08.42.127) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის (ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა) შესრულების ვადა 1 (ერთი) წლით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე